ოქმი №6

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2026 წლის 6 აპრილს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – გ. შომახია, ე. ოდიშარია, ბ. კალანდარიშვილი, ზ. ყურაშვილი, ვ. ჩიქობავა, მ. ნანეიშვილი, ნ. ხუხუნი, ვ. კირცხალია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – გ. შომახია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2026 წლის 25 მარტს სენაკის რესურსცენტრიდან შემოსული განცხადების: 360558 (სარეგისტრაციო 04-41260845-41) განხილვის თაობაზე, სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 8; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2026 წლის 25 მარტს სენაკის რესურსცენტრიდან შემოსული განცხადების: 360558 (სარეგისტრაციო 04-41260845-41) განხილვის თაობაზე, სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მ/წლის 25 მარტს შემოსული განცხადება 360558 (სარეგისტრაციო 04-41260845-41) სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების თაობაზე (თანდართული მასალებით).

ასევე გააცნო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის ბრძანება №194 ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის: სკოლას შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ: ,,დ“ ქვეპუნქტი: ქართული კულტურის, ხელოვნების, ენის, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საერო ან სასულიერო პირის სახელი, რომლის გარდაცვალების დღიდან გასულია სულ მცირე 20 წელი.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის ბრძანება №194 ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე უარი ეთქვას სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეს საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი შომახია